საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 03

04 01 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - ფარგლებში შეთანხმების კოორდინატორის, კოორდინატორის ასისტენტისა და კომპონენტების ხელმძღვანელების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) [redacted] 2016 წლის 19 დეკემბრის №1507975 და 2016 წლის 30 დეკემბრის №1546975 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 04 იანვრიდან 2017 წლის 09 იანვრამდე გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის (შემდგომში - პროექტი) - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - ფარგლებში შემდეგ თანამდებობებზე:

1.1. კოორდინატორის ასისტენტის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ბ) ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა;

გ) მსგავსი ტიპის სამუშაოების შესრულების გამოცდილება/სტაჟირება/პრაქტიკა.

1.2. კოორდინატორის ასისტენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრებისა და პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ორგანიზება და შესაბამისი ოქმების შედგენა;

ბ) პროექტის ფარგლებში წამოჭრილ ცალკეულ საკითხებთან (საკადრო, სამართლებრივი, ფინანსური და სხვა) დაკავშირებით ცენტრის შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაცია;

გ) დონორ ორგანიზაციასთან (გაეროს განვითარების პროგრამა) კომუნიკაცია და პროექტში მიმდინარე პროცესების შესახებ მისი ინფორმირება;

დ) პროექტის კომპონენტების სამოქმედო გეგმების შესრულების კონტროლი, კომპონენტების ხელმძღვანელებთან აქტიური თანამშრომლობა, მათგან შესაბამისი ინფორმაციის მიღება-დამუშავება და შეთანხმების კოორდინატორისათვის მიწოდება;

ე) პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშების მომზადება (ქართულად და ინგლისურად);

ვ) შეთანხმების კოორდინატორის ცალკეული დავალებების შესრულება, რაც უკავშირდება პროექტის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებს.

1.3. კოორდინატორის ასისტენტის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.4. კონკურსის შედეგად, კოორდინატორის ასისტენტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1345 ლარის ოდენობით.

1.5. პროექტის პირველი კომპონენტის - ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში - ფარგლებში პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) პროფესიული ან ზოგადი განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

დ) პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმისა და კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა, პროფესიულ განათლებაში ევროპული პოლიტიკისა და მიდგომების ცოდნა;

ე) ანალიტიკური უნარების, აკადემიური წერის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების ფლობა.

1.6. პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;

ბ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;

გ) პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირების პილოტირების მონიტორინგის კოორდინაცია, პროცესის ხელმძღვანელობა, კოლეჯებში ვიზიტები და სხვ.;

დ) მასწავლებელთა გზამკვლევების შემუშავების პროცესის კოორდინაცია;

ე) შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;

ვ) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;

ზ) ყოველი თვის ბოლოს, განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის;

თ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხვნილი ინფორმაციის წარდგენა.

1.7. პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.8. კონკურსის შედეგად, პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 2467 ლარის ოდენობით.

1.9. პროექტის მესამე კომპონენტის - სოფლის მეურნეობის სფეროს პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების ოპტიმიზაცია/შემუშავების - ფარგლებში პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) განათლების სფეროში არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, არანაკლებ 3 გამოცდილება პროფესიული განათლების სფეროში;

გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

დ) საფუძვლიანი ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის (პროფესიული სტანდარტების, ჩარჩო დოკუმენტების, მოდულების შემუშავების მიდგომები), ასევე პროფესიული განათლების სფეროს კანონმდებლობის, კვალიფიკაციების ეროვნული და ევროპული ჩარჩოების, დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორების (ISCO, ISCED) შესახებ.

1.10. პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;

ბ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;

გ) პროფესიული სტანდარტების/ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების შემუშავება/ოპტიმიზაციის პროცესის კოორდინაცია;

დ) შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;

ე) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;

ვ) ყოველი თვის ბოლოს, განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხვნილი ინფორმაციის წარდგენა.

1.11.კონკურსის შედეგად, პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში2467 ლარის ოდენობით.

1.12. პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.13. პროექტის მეოთხე კომპონენტის - სოფლის მეურნეობის სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საგანმანათლებლო რესურსების ჩამოყალიბება - ფარგლებში პროექტის

მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

დ) საგანმანათლებლო რესურსებზე/სახელმძღვანელოებზე/გზამკვლევებზე მუშაობის გამოცდილება.

1.14. პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;

ბ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;

გ) საგანმანათლებლო რესურსების შექმნის პროცესის კოორდინაცია, შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;

დ) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;

ე) ყოველი თვის ბოლოს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხვნილი ინფორმაციის წარდგენა.

1.15. კონკურსის შედეგად პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში2467 ლარის ოდენობით.

1.16. პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.17. პროექტის მეხუთე კომპონენტის - საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები სკოლის მოსწავლეებისთვის - ფარგლებში პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

დ) პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის საფუძვლიანი ცოდნა;

ე) პროფესიულ განათლებაში ევროპული პოლიტიკისა და მიდგომების ცოდნა.

1.18. პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;

ბ) საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსებისა და მეთოდოლოგიური გზამკვლევების შემუშავების კოორდინაცია, პილოტირების მონიტორინგში მონაწილეობა, პროცესის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, კოლეჯებში ვიზიტები;

გ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;

დ) შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;

ე) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;

ვ) ყოველი თვის ბოლოს, განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა.

1.19.კონკურსის შედეგად, პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში2467 ლარის ოდენობით.

1.20. პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.21. შეთანხმების კოორდინატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) პროფესიული განათლების სფეროში არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

დ) ინგლისური ენის ფლობა;

ე) პროფესიული განათლების სფეროს კანონმდებლობისა და მიმდინარე რეფორმის საფუძვლიანი ცოდნა;

ვ) პროფესიულ განათლებაში ევროპული პოლიტიკისა და მიდგომების ცოდნა;

ზ) ანალიტიკური უნარების, აკადემიური წერის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების ფლობა.

1.22. შეთანხმების კოორდინატრის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) პროექტის მართვა და შეთანხმების წერილით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების კოორდინაცია;

ბ) დონორ ორგანიზაციასა და ცენტრს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

გ) სამოქმედო გეგმების შემუშავების კოორდინაცია და შესრულების კონტროლი პროექტის შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:

ა.ა) პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირება (მიდგომის პილოტირება, მონიტორინგი და შეფასება, საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და მასწავლებელთა ტრენინგი);

ა.ბ) სკოლის მოსწავლეთა საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები (მინიმუმ 16 კურსის მომზადება შესაბამისი მეთოდოლოგიით, მინიმუმ 4 კურსის პილოტრება, მონიტორინგი და შეფასება);

ა.გ) სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული კვალიფიკაციების განვითარება (საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზის, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული კვალიფიკაციების განსაზღვრა-განვითარება (შესაბამისი პროფესიული სტანდარტების/პროგრამების/მოდულების შემუშავება/ოპტიმიზაცია));

ა.დ) სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებისთვის სასწავლო რესურსების განვითარება (არსებული რესურსების ვალიდაცია და საჭიროებების შესაბამისად - განახლება, ან ახალი რესურსების შექმნა (მინიმუმ 24 ერთეული)).

დ) კომპონენტების ხელმძღვანელთა მხრიდან მომზადებული დასკვნების საფუძველზე, პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების ჩაბარება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით;

ე) კომპონენტების ხელმძღვანელებთან სისტემატური კომუნიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშების გაცნობა, უკუკავშირის მიცემა, პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში სათანადო რეაგირება;

ვ) პროექტის კვარტალური ანგარიშების მომზადება და ცენტრის, გაეროს განვითარების პროგრამისა და პროექტის სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა;

ზ) პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევა, ანგარიშების წარდგენა, პრობლემური საკითხების განხილვა, რეკომენდაციების მიღება და პროექტის საქმიანობაში გათვალისწინება;

თ) შეთანხმების წერილით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად ადამიანური რესურსების მოძიებასა და შერჩევაში მონაწილეობა;

ი) პროექტის კომპონენტებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ცენტრისა და სხვა შესაბამისი უწყებების სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კომუნიკაცია;

კ) პროექტის ცალკეული კომპონენტის განხორციელების პირობების გადახედვის აუცილებლოების შემთხვევაში, ცვლილებების საჭიროების დასაბუთება და პროექტის სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა;

ლ) სხვა საქმიანობის შესრულება, რაც ხელს შეუწყობს შეთანხმების წერილით განსაზღვრული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

1.23. კონკურსის შედეგად, შეთანხმების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 3588 ლარის ოდენობით.

1.24. შეთანხმების კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 ადგილზე.

1.25. კოორდინატორის ასისტენტის, პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის, პროექტის მესამე კომპონენტის ხელმძღვანელის, პროექტის მეოთხე კომპონენტის ხელმძღვანელის, პროექტის მეხუთე კომპონენტის ხელმძღვანელისა და შეთანხმების კოორდინატორის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge, აუცილებლად უნდა ატვირთონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (C.V.) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

1.5.კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, www.eqe.ge, მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, www.eqe.ge, გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი თამარ სანიკიძე